საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№55-1/17 „20“ ივლისი 2017 წ.

შ.პ.ს. „ჟამური“-ს დირექტორს
ბატონ ზურაბ მილაძეს.

შემოწმება ჩაუტარდა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირ №39/ა-ში მდებარე ორ სართულიან შენობას. (საკ. კოდი 01.12.03.007.020.) შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, კონსტრუქციულად რკინაბეტონის ჩარჩოვანია. ჩარჩოს სვეტების განივკეთია 40x40 სმ. გადახურვებად გამოყენებულია რკინაბეტონის წიბოვანი (რიგელიანი) ფილები. სახურავი წარმოადგენს ხის კონსტრუქციებს. ბურულის მასალა თუნუქი. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ავტოგასამართი ფართები ხოლო მეორე სართული სასაწყობე ფართები.

შემოწმებით დადგინდა, რომ შენობა იმყოფება კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში.

შ.პ.ს. „ჟამური“-ს დირექტორს, ბატონ ზურაბ მილაძეს სურვილი აქვს ჩაატაროს სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რისთვისაც წარმოდგენილია შ.პ.ს. „ვოლ“-ის მიერ დამუშავებული პროექტის არქიტექტურული. პროექტი ითვალისწინებს შემდეგს:

– მეორე სართულზე სასაწყობე ფართი ორი მხრიდან შემოზღუდულია წვრილი საკედლე ბლოკის კედლის წყობით, პროექტით გათვალისწინებულია დარჩენილი ორი მხარის შევსება წვრილი საკედლე ბლოკებით.

საკითხის შესახებ შ.პ.ს. ”მონოლითი” გაცნობებთ, რომ სასაწყობე ფართის შემოზღუდვა ბლოკის კედლის წყობით შესაძლებლად მიგვაჩნია და არ გამოიწვევს შენობის მზიდუნარიანობის შესუსტებას.

მსუბუქი საკედლე ბლოკები უნდა იყოს მარკით არანაკლებ M50, მოცულობითი წონა არაუმეტეს 1200 კგ/მ^3. ქვიშა ცემენტის ხსნარის მარკა არანაკლებ M50-ისა.

შ.პ.ს. „მონოლითი“-ს დირექტორი /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/